განკარგულება:**g-37. 37242694**
თარიღი:**25/09/2024**

**განკარგულება N53**

25 სექტემბერი 2024 წელი

ქ. ოზურგეთი

**,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N44 განკარგულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N44 განკარგულებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ განკარგულებით განსაზღვრული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ნაცვლად 12.8 კვ.მ. ფართისა უნდა გამოიყოს - 51.81 კვმ ფართი, ხოლო ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ნაცვლად 51.81 კვ.მ. ფართისა უნდა გამოყოს 12.8 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების საერთო ფართი და სარგებლობის საფასური არ იცვლება).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61- ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

***გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :***

**მუხლი 1.** გასწორდეს **,,**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686

კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N44 განკარგულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და განკარგულების:

1. **სათაური ჩამოყალიბდეს შემდგეგი რედაქციით:**

**,,**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

2. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდგეგი რედაქციით:**

**,,მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ.არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობაში, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით, გარე დასაჯდომი სივრცის მოსაწყობად ქეთევან კვირკელიძისთვის (პ.ნ. 33001068751) გადაცემისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.“.

**მუხლი 2.** განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი